

დამტკიცებულია დირექტორის
15.04.2013 წ ბრძანებით № 8;

შევიდა ცვლილებები:

1. ბრძანება № 2; 27.01.2014;
2. ბრძანება № 25; 25.06.2014
3. ბრძანება №13; 15.05.2016
4. ბრძანება №66; 29. 09. 2017

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“

მესამე საფეხურის საბანკო საფინანსო პროფესიული პროგრამა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: საბანკო საფინანსო პროფესიული პროგრამა
2. პროფესიული განათლების საფეხური: მესამე
3. სწავლების ენა: ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მოლარე (ბანკის და ა.შ.) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
5. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: 60 პროფესიული კრედიტი. კრედიტების 60% (36 კრედიტი) ეთმობა მოლარეს საქმეს და მასთან დაკავშირებული თეორიული დისციპლინების შესწავლას, ხოლო 40% (24 კრედიტი) პროფესიულ პრაქტიკას პრაქტიკას. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას. ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში - პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდას. პროგრამის ხანგრძლივობაა 41 კვირა.
6. პროგრამის ხელმძღვანელი: მაია ოკმელაშვილი
7. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: მოლარეს მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც დამლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური. მინიმალური ასაკი 17 წელი, რომელსაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა A2 დონეზე. ქართული ენის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს: ატესტატი, თუ პირმა სასკოლო განათლება მიიღო ქართულ ენაზე; ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის გავლის დოკუმენტი, ან ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენის გამოცდის ჩაბარების დოკუმენტი, თუ პირი ვერ წარმოადგენს ასეთ დოკუმენტს, მიძღვნი კომისია უტარებს ენის კომპეტენციის განმსაზღვრელ გამოცდას, რომლის დადებითი შედეგიც აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას.
8. პროგრამის ავტორი: სასწავლებლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „პროგრამის შემუშავების წესის“ (ორგანიზაციის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ თავი 2) შესაბამისად პროგრამა შეიმუშავა სამეთვალყურეო საბჭომ პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად (ნათია ბერუაშვილი, რეზო ჩხიტუნძი). სწავლის შედეგების შემუშავებაში და დახვეწაში მონაწილეობა მიიღო დამსაქმებელმა: შპს გოლბის დირექტორის წერილი # 1 (11/04/2013წელი) --- დანართი 2
9. სფეროს აღწერა
 მოლარის (ბანკის და ა.შ.) პროფესიული კვალიფიკაცია განეკუთვნება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების საბუღალტრო აღრიცხვის დარგობრივ სფეროს და მოიცავს ისეთი საკითხების ცოდნას, როგორებიცაა ბანკის, სხვა საფინანსო და კომერციული ორგანიზაციების სალაროს ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, ფულისა და ფასეულობების აღრიცხვა, ფორმირება; ეროვნული და უცხოური ვალუტის ფულის ნიშნების გარჩევა, დათვლა, შეფასება, დახარისხება და შეფუთვა; ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ ნაღდ ფულთან დაკავშირებული მომსახურების წესები; ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების მიღებისა და გაცემის წესები; ანგარიშსწორება საგადასხდო დავალებებით; ანგარიშსწორება საინკასო დავალებებით; ანგარიშსწორება აკრედიტივით; ელექტრონული საბუთების ფორმირება; ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად.
10. პროგრამის მიზანი:
 პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები იმისათვის რომ კომერციულ ორგანიზაციებში და სხვა დაწესებულებებში ნაღდი და/ან უნაღდო ანგარიშსწორებით აწარმოოს ფინანსური ოპერაციები, გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი; იცის საბანკო საქმის საფუძვლები და აქვს მოლარის პროფესიული უნარები. პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება სასწავლებლის მისიას და ორიენტირებულია დასაქმებაზე.

11. სწავლის შედეგები:

ამ პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს და აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს:

ცოდნა და გაცნობიერება	<ul style="list-style-type: none"> ▪ აქვს ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების, ფაქტების და პროცესების ცოდნა; ▪ აცნობიერებს ფინანსური ოპერაციების შესასრულებლად აუცილებელ
-----------------------	---

	<p>პროცედურებს;</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ იცის ფულის საზომი ერთეულები და კონვერტაციის წესები და ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირებისა და შეფუთვის წესები; ▪ იცნობს საბანკო საქმიანობის ზოგად კონცეფციას; ▪ იცის ფინანსური ანგარიშგება, ფულადი საშუალებების აღრიცხვა; ▪ იცის სასაქონლო მატერიალური მარაგების და ძირითადი საშუალებების აღრიცხვა; ▪ იცნობს ნაღდი ფულის ოპერაციების წარმოებისათვის საჭირო ბეჭდებს და შტამპებს.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია კომერციულ ბანკებში სალაროს ოპერაციებთან დაკავშირებული სამუშაოების ორგანიზაცია, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად; ▪ შეუძლია იაზროვნოს ლოგიკურად და შეასრულოს მოქმედებები ნატურალური რიცხვებით: ▪ შეუძლია ანგარიშსწორება საგადასახადო დავალებებით; ▪ შეუძლია ანგარიშსწორება საინკასო დავალებებით; ▪ შეუძლია ანგარიშსწორება აკრედიტივებით; ▪ შეუძლია ანგარიშსწორება რეესტრის გამოყენებით; ▪ შეუძლია ანგარიშსწორება ჩეკებით; ▪ შეუძლია უნაღდო ანგარიშსწორება; ▪ სალაროში დღის განმავლობაში შემოსული ფულის, ფასეულობების და საბუთების აღრიცხვა; ▪ სალარო აპარატთან მუშაობა; ▪ ეროვნული და უცხოური ვალუტის იდენტიფიცირება, ბანკნოტების და მონეტების ფორმირება, დათვლა, შეფუთვა; ▪ სალაროს დახურვა, გადაბარება, მიღება; ▪ პირის იდენტიფიკაცია და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადამოწმება შესაბამისი დოკუმენტაციის გამოყენებით; ▪ ვალუტის გაცვლა და კონვერტაცია; ▪ შეუძლია ელექტრონული საბუთების მიღების დასტურად შესაბამისი შეტყობინების (ან სტატუსის) ფორმირება; ▪ შეუძლია მიღებული ელექტრონული საბუთების დამუშავება; ▪ შეუძლია სალაროს ფუნქციონირებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოება: სალაროს წიგნი, შემოსავლის და გასავლის ასევე გადარიცხვის ორდერები და სცვა) ▪ შეუძლია ანგარიშზე (ანგარიშებზე) ბრუნვების არსებობის შემთხვევაში მოახდინოს კლიენტის ანგარიშიდან (ანგარიშებიდან) ამონაწერის (ამონაწერების) შესრულება; ▪ შეუძლია ანგარიშზე (ანგარიშებზე) ბრუნვების არსებობის შემთხვევაში მოახდინოს კლიენტის ანგარიშიდან (ანგარიშებიდან) ამონაწერის (ამონაწერების) შესრულება; ▪ შეუძლია კლიენტებისათვის საანგარიშსწორებო საქმიანობასთან დაკავშირებული ტექსტური ინფორმაციის გადაცემა, მათ შორის, მომსახურების პირობების შეცვლის შესახებ (რომელიც მხარეთა შეთანხმებით შემდეგში აისახება ხელშეკრულებაში); ▪ შეუძლია სამუშაო დღის განმავლობაში შესასრულებელ სამუშაოთა პრიორიტეტულობის განსაზღვრა და ხელმძღვანელებთან ერთად გადაწყვეტილების მიღება; ▪ შეუძლია ყოველდღიური სამუშაო გრაფიკის შედგენა, მომსახურების ამოცანების განრიგის შესაბამისად გადაჭრა; ▪ შეუძლია ნაღდი ფულთან დაკავშირებული სალარო ოპერაციების და უნაღდო ანგარიშსწორებების განხორციელებებისას წარმოქნილი საოპერაციო ხასიათის რისკებისა და სხვა ტექნიკური ხარვეზების სალაროს გამგესთან და სხვა ზედამხედველებთან ერთად მოგვარება; ▪ შეუძლია ფასეულობათა რევიზია;
<p>დასკვნის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ აქვს კრიტიკულ სიტუაციებში ეფექტურად მოქმედების და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი;

	<ul style="list-style-type: none"> შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში და შეზღუდული დროის პირობებში კლიენტურის მოთხოვნების ანალიზი და მათი შესრულების ოპტიმალური გზების ძიება; შეუძლია გაიაზროს როგორ ფუნქციონირებენ ეკონომიკური აგენტები, კომერციული სტრუქტურები, საოჯახო მეურნეობები, ფირმები და სახელმწიფო, საბაზრო ეკონომიკის პირობებში. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად საბუღალტრო აღრიცხვის ინფორმაციის ცნობილი წყაროების გამოყენება, სარგებლობა და დასკვნის გაკეთება. შეუძლია ფისკალურ-საგადასახადო საქმიანობის შესახებ არსებული და საქმიანობის პროცესში საჭირო ინფორმაციის გააზრება, ანალიზი და შესაბამისი დასკვნის გაკეთება
კომუნიკაციის უნარი	<ul style="list-style-type: none"> მომხმარებლებთან, დამსაქმებლებთან და კოლეგებთან პროფესიულ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; მოთხოვნის შემთხვევაში ანგარიშის შედგენა და წარდგენა; შეუძლია სპეციალურ სახელმძღვანელოებში, ჟურნალებში ან ინტერნეტში საბანკო სიახლეებისა და ოპერაციების შესახებ მასალების მოძიება; შეუძლია მიმდინარე და დასასრულებელი დავალებების შესახებ მოკლე შენიშვნების ჩაწერა ჯგუფის კოორდინირებისა და ხელმძღვანელობისათვის საჭირო მასალის ნუსხის შედგენა; შეუძლია კოლეგებთან, ხელმძღვანელებთან სამუშაოებისათვის საჭირო ახალი პროდუქტების, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ნორმების, მუშაობის პროცედურების განხილვა; ფლობს და იყენებს უცხო ენას მომხმარებელთან ურთიერთობისას; სტუდენტი მეტყველებს, წერს და კითხულობს ქართულ ენაზე, როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე პროფესიულ თემებზე. შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება ფინანსური ოპერაციების განხორციელებისთვის და საჭირო ინფორმაციის მოძიებისთვის.
სწავლის უნარი	<ul style="list-style-type: none"> შეუძლია საფინანსო საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმვისთვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა;
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> ნებისმიერ სიტუაციაში იცავს ფინანსური საქმიანობისთვის დადგენილ ეთიკურ ნორმებს; არ ასრულებს საბუღალტრო ოპერაციების შემსრულებელი მუშაკების გვერდის ავლით უშუალოდ კლიენტთა დავალებას ბანკში მათ ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანის ან გამოტანის შესახებ და ამასთან დაკავშირებით არ იღებს შესაბამის დოკუმენტებს; აქვს კონფიდენციალურ ინფორმაციასთან შეგნებული დამოკიდებულება, აცნობიერებს სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობას და მოქმედებს შესაბამისად.

12. სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსები/მოდული	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
კომუნიკაცია				*		*
ინგლისური ენა				*		
საინფორმაციო ტექნოლოგიები		*		*		

მათემატიკა	*		*			
სალაროს ოპერაციები	*	*	*			*
საბანკო საქმის საფუძვლები	*		*			
სამეწარმეო საქმის საფუძვლები	*	*	*			
საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები	*		*			
გადასახადები და საგადასახდო დაბეგრა	*		*			
სასწავლო პრაქტიკა		*	*	*	*	*
საწარმოო პრაქტიკა		*	*	*	*	*

13. პროფესიული სტუდენტის სქმიანობა

პროფესიული სტუდენტის სასწავლო სქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას,
- სამუშაო ჯგუფში მუშაობას,
- დამოუკიდებელ მეცადინეობას,
- სასწავლო პრაქტიკაზე ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკული მეცადინეობას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

14. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

1. ცალკეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რასაც არეგულირებს მოქმედი პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და ეყრდნობა მინისტრის ბრძანებას №121/ნ ;
2. შეფასების სისტემა უშვებს:
 - ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%;
 - (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
 - ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
 - (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

თეორიული სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც გადანაწილდება შემდეგ კომპონენტებზე:

- 1) მიმდინარე შეფასება 30 ქულა;
- 2) შუალედურ გამოცდა 30 ქულა;
- 3) დასკვნითი გამოცდა 40 ქულა.

სასწავლო პრაქტიკის კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც გადანაწილდება შემდეგ კომპონენტებზე:

- 1) დასწრება-აქტიურობა 20 ქულა;
- 2) მიმდინარე შეფასება 20 ქულა;
- 3) შუალედურ გამოცდა 30 ქულა;
- 4) დასკვნითი გამოცდა 30 ქულა.

საწარმო პრაქტიკის კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც გადანაწილდება შემდეგ კომპონენტებზე:

1. დასწრება/აქტიურობა 20 ქულა;
2. მიმდინარე შეფასება 20 ქულა;
3. გუნდური მუშაობა 20 ქულა;
4. დასკვნითი გამოცდა 40 ქულა.

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის კრედიტები ჩაითვლება ათვისებულად, თუ იგი ჯამურად მოიპოვებს კურსის ყველა კომპონენტის დადებით შეფასებას არაუმცირეს 51 ისა.

სასწავლო კურსის კომპონენტების შესაფასებლად პროფესიული მასწავლებელი თავად ირჩევს შეფასების მეთოდს და ქულათა რანჟირებას, რაც დეტალურად არის გაწერილი კონკრეტულ სილაბუსებში.

15. სწავლების მეთოდები

ლექცია ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი - პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ სალექციო კურსი, სადაც ხდება მასალის თეორიული საფუძვლების მიწოდება.

დემონსტრირების მეთოდი - მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის სხვადასხვა შემადგენელი, ვაჩვენოთ და დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ეს მეთოდი ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

პრაქტიკული მეცადინეობა - ტარდება პრაქტიკული მეცადინეობა სასწავლო თვალსაჩინო მასალების გამოყენებით, ეს მეთოდი ვიზუალურად რეალურ ვითარებაში წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

წიგნზე მუშაობის მეთოდი - დამოუკიდებელი მუშაობის საათებში სტუდენტები ამუშავებენ ლიტერატურას და დამხმარე მასალებს.

საშინაო დავალება - დამოუკიდებელი მუშაობის საათებში სტუდენტები ასრულებენ კონკრეტულ დავალებებს, მასწავლებლის მიერ მითითებული ფორმით.

ჯგუფური მუშაობა - მეთოდით სწავლება გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას მუშაობის პროცესში.

შემთხვევის ანალიზი - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით.

დისკუსია - დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. აღნიშნული პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვებით. მეთოდი უვითარებს პროფესიულ სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ვიდეოსადემონსტრაციო მეცადინეობა - მიმდინარეობს მასწავლებლის მიერ სპეციალურად თემატურად შერჩეული ვიდეომასალის დემონსტრირება, განხილვა, შეფასება, გაანალიზება. ვიზუალური აღქმა ამაღლებს სტუდენტების ჩართულობას და ზრდის დაინტერესებას.

14. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ.

პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასწავლო აუდიტორიებით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით, სასწავლო პრაქტიკასთვის განკუთვნილი მასალით და სხვა რესურსებით, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. სასწავლო პრაქტიკა ჩატარდება სასწავლებლის ბაზაზე მოლარეების საკლასო ოთახში, რომელიც აღჭურვილია მოლარეს საქმიანობისათვის საჭირო ინვენტარით: კალკულატორები, საბუღალტრო დოკუმენტაციის ფორმებით, სალარო აპარატებით, ფულის სათვლელი მანქანით, ეროვნული და უცხოური ვალუტის სასწავლო ნიშნებით, საკანცელარიო ინვენტარით.. საწარმო პრაქტიკა ტარდება კომერციულ კერძო ბანკში ვითიბი ბანკი-საქართველო, რომელთანც გაფორმებულია თანამშრომლობის ხელშეკრულება.

15. დასაქმების სფერო:

მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მოლარე-ოპერატორს, მინიჭებული კვალიფიკაციიდან და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სტანდარტებიდან გამომდინარე, აქვს გარკვეული დამოუკიდებლად მუშაობის უნარები და კომპეტენციები, ამიტომ იგი შეძლებს იმუშაოს სავაჭრო და კომერციული ორგანიზაციის სალაროებში, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციების ბილეთების სალაროებში. კომერციული ბანკების, საკრედიტო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო ორგანიზაციების ასევე სხვა საფინანსო (როგორც საბიუჯეტო, ასევე კომერციულ) ორგანიზაციების სალაროებში დამოუკიდებლად. შეიძლება დასაქმდეს კომერციული და საბიუჯეტო ორგანიზაციების საბუღალტრო და აუდიტორულ სტრუქტურებში ბუღალტერის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

15. პროგრამის ბიუჯეტი

- პროგრამის ღირებულება 17000 ლარი
- ერთი სტუდენტის სარეკომენდაციო გადასახადი --- 1700 ლარი;
- სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა --- 10 სტუდენტი

